

**Augustus Henry Mounsey. A Journey through the Caucasus and the Interior of Persia. London:
Smith, Elder & Co., 1872**

The old part of the town is thoroughly Asiatic mud or sun-baked brick houses, with flat roofs and an almost complete absence of windows, narrow, unpaved lanes and alleys, and vaulted bazaars, being the prominent features. Here are the principal shops and mercantile depôts; here too is all the life of Tiflis. A thorough motley it is: the stately Persian with high lambswool hat and flowing jubbah¹, the stolid Armenian, and lethargic Georgian, jostle against the Cossack and the Frank; the Russian lady, in the latest fashions from Paris, elbows the white-veiled figure of her Armenian sister and the dark blue inscrutable form of the denizen of the harem ; long strings of camels silently thread their way through the throng, heavily-laden mules jingle their bells and chains, troops of unbridled donkeys demurely follow their leader. A babel of tongues salutes the ear – “Salam aleikum,” “Zdrastwuyte, Bonjour,” “Guten Morgen.” Here are vendors praising the quality of their goods, purchasers depreciating the same, bargaining and haggling on all sides—a scene, in fact, which can only be realized by one who has visited the confines of Europe and Asia. (38-39)

ქალაქის [ტფილისის] ძველი ნაწილი მთლიანად აზიურია – მისი დამახასიათებელია თიხატკეპნილი ან მზეზე გამომწვარი აგურის სახლები ბრტყელი სახურავებითა და თითქმის ფანჯრების გარეშე, ვიწრო, მოუკირწყლავი ქუჩაბანდები, ჩიხები და თაღოვანი ბაზრები. აქ არის ძირითადი მაღაზიები და სავაჭრო საწყობები და ტფილისის მთელი ცხოვრებაც აქ არის. აქ სრული სიჭრელეა: წარმოსადეგი სპარსელი კრაველის მაღალი ქუდითა და ფრიალა ჯუბათი², აუღელვებელი სომეხი და აპათიური ქართველი ეჯახება კაზაკსა და ფრენკს (Frank)³ უახლეს პარიზულ მოდურ სამოსში გამოწყობილი რუსი ქალბატონი იდაყვებს უბიძგებს თეთრ ვუალში გახვეულ თავის სომეხ დასა და ჰარამხანის მკვიდრის მუქ ლურჯ იდუმალ ფიგურას; ხალხში უხმაუროდ მიიკვლევს გზას აქლემების გრძელი მწკრივი, მძიმედ დატვირთული ჯორები ზარებსა და ჯაჭვებს აჟღარუნებენ, უაღვირო ვირების ჯოგი დარბაისლურად მიჰყვება თავის წინამძღოლს. ყურს ენების ბაბილონი ესალმება – "Salam aleikum", "Zdrastwuyte", "Bonjour", "Guten Morgen". აი მოვაჭრეები, რომლებიც აქებენ თავიანთი საქონლის ხარისხს, მყიდველები, რომლებიც მას აუფასურებენ, ყოველ მხარეს ვაჭრობენ და კამათობენ – ეს მართლაც ის სანახაობაა, რომლის წარმოდგენა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ევროპისა და აზიის საზღვრები მოინახულა. (39).

To return to our Württembergers. They have not only preserved their national taste for music, but many other habits and customs of the Fatherland. Riding through their quarter of the town, called the colony, the neat and solid houses, surrounded by their garden plots, looked to advantage as contrasted with the half-underground mud hovels of the Georgians and Orientals, and the somewhat flimsily-painted dwellings of the Russians of the same class and standing. (45)

დავუბრუნდეთ ჩვენს ვიურტემბერელებს. თავიანთი ეროვნული მიდრეკილება მათ არა მხოლოდ მუსიკის, არამედ თავიანთი სამშობლოს მრავალი სხვა ადათ-წესის მიმართაც შეინარჩუნეს. ქალაქის მათ უბანზე გავლისას, რომელსაც კოლონიას უწოდებენ, ბაღებით

¹ Jubbah – a species of mantle, generally of broad-cloth descending to the ankles.

² ჯუბა (არაბ.) – ჩვეულებრივ თხელი მაუდის გრძელი ზედა სამოსის სახეობა, რომელიც ტერფამდე სწვდება.

³ ფრენკ (Frank) – ასე უწოდებდნენ ევროპელს ახლო აღმოსავლეთში.

გარშემორტყმული მოწესრიგებული და მკვიდრი სახლები, ქართველებისა და აღმოსავლელების ნახევრად მიწურ თიხატკეპნილ ქოხებთან და იმავე წოდებისა და მდგომარეობის რუსების დაუდევრად შეღებილ საცხოვრებლებთან შედარებით მიმზიდველად გამოიყურებოდა. (45)

The lower classes are principally cultivators of the soil, which they manipulate in the same old fashioned jog-trot style as their ancestors for centuries before them. Amongst the higher, education is little heeded; a Georgian seldom rises to the senior class in his school or college, and considers further study unnecessary when he can jabber French. Such being the case, and there being few Russians in the country who are not either civil or military employés, all trade and commerce are in the hands of the Armenians, an active and enterprising race, whose views are so steadfastly and ceaselessly fixed on the main chance, that they have come to be designated as the “Jews of the East”. (48)

დაბალი კლასები ძირითადად მიწათმოქმედებას ეწევიან, რომელსაც იმავე ძველი წესით, ძუნძულით ამუშავებენ, როგორც საუკუნეების განმავლობაში მათი წინაპრები. უმაღლესი კლასი განათლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს; თავიანთ სკოლასა თუ კოლეჯში ქართველი იშვიათად აღწევს უფროს კლასამდე და შემდგომ როდესაც ფრანგულად ბლუკუნს ახერხებს, სწავლას უსარგებლოდ მიიჩნევს. რადგან ქვეყანაში სამოქალაქო ან სამხედრო მოსამსახურეების გარდა რუსი ცოტაა, მთელი ვაჭრობა აქტიური და საქმიანი ხალხის, სომხების ხელშია, რომელთა მიზნები მთავარი წარმატებისკენ ისე მტკიცედ და ისე მუდმივად არის მიმართული, რომ მათ „აღმოსავლეთის ებრაელებს“ უწოდებენ (48).

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)